



ვესტმინსტერის კონსორციუმის პროგრამის ფარგლებში თომსონ როიტერის ფონდი და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლა საქართველოს პარლამენტში აკრედიტებული ჟურნალისტიკისთვის ატარებენ ხუთდღიან პრაქტიკულ კურსს **პარლამენტის საქმიანობის გაშუქების პრინციპები**, რომელიც გათვლილია მაქსიმუმ 14 მონაწილეზე. მონაწილეთა შერჩევა ორ ეტაპად განხორციელდება – თავდაპირველ შერჩევას განახორციელებენ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლის ტრენერები, ხოლო მონაწილეთა საბოლოო შერჩევა მოხდება უშუალოდ თომსონ როიტერის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ტრენინგი ჩატარდება 2010 წლის 15-19 მარტს, ბაზალეთის ტურისტული კომპლექსის ბაზაზე. საჭიროების შემთხვევაში, ინგლისურ-ქართული თარგმანი უზრუნველყოფილი იქნება.

აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- ბიოგრაფია (250 სიტყვა) ან CV (ქართულ ან ინგლისურ ენაზე. მეორე ეტაპზე გასვლის შემთხვევაში – ინგლისურ ენაზე);
- ორი გამოქვეყნებული სტატია, რომელთაც თან ახლავს მოკლე რეზიუმე ინგლისურ ენაზე; სასურველია, რომ სტატიები პარლამენტის საქმიანობას ეხებოდეს. ტელე და რადიო ჟურნალისტებს ნამუშევრების წარმოდგენა შეუძლიათ CD-ზე, თანმხლები რეზიუმეითი ინგლისურ ენაზე;
- სამოტივაციო წერილი (250 სიტყვა), სადაც აღწერილი იქნება აპლიკანტის მოლოდინი, თუ როგორ დაეხმარება აღნიშნული ტრენინგი პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში (ქართულად ან ინგლისურად);
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა (ინგლისურად, იხილეთ ბმული).

პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თეა კენტჩაძეს, ვესტმინსტერის კონსორციუმის პროგრამის ხელმძღვანელს საქართველოში: საქართველოს პარლამენტი, ოთახი 028, ტელ: 99-99-34. ელ-ფოსტა: thea.kentchadze@wfd.org

საბუთების ჩასაბარებლად გთხოვთ მიმართოთ საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტს (საკონტაქტო პირები: მადონა ნოზაძე და მიხეილ გოვალაძე – 28-13-20; 28-26-06)

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა ა.წ. 5 მარტი.